

შპს „ასვლა“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	7
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების შესახებ.....	8
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	9

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	10
2. მომზადების საფუძვლები	10
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	13
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	17
5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა.....	18
6. ძირითადი საშუალებები.....	21
7. არამატერიალური აქტივები.....	21
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	22
9. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	22
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23
11. საგადასახადო ვალდებულებები	23
12. ამონაგები	23
13. თამაშების მომწოდებლის ხარჯები	23
14. გადასახადები და მოსაკრებლები აზარტული თამაშების ფსონებზე	24
15. მარკეტინგული ხარჯები.....	24
16. საკომისიოები გადახდის სისტემების პროვაიდერებისთვის	24
17. სხვა საოპერაციო ხარჯები	24
18. წინა წლის რეკლასიფიკაცია.....	24
19. პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები.....	25
20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	25
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	26

მმართველობის ანგარიშგება	27
---------------------------------------	-----------

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ასვლას“ მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

აუდიტორის მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ასვლას“ (შემდგომში - კომპანია) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექნა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მის მომზადებაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამოხმულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას;
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე;
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საადრიცხვო პოლიტიკების მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საადრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობას და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას;
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად, ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადებზე და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით, გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით თანხვედრაშია 2024 წლის ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

აუდიტორის დასკვნაში წარმოდგენილ შედეგებზე პასუხისმგებელი გარიგების პარტნიორი:

თამარ სუმბაძე (რეესტრში რეგისტრაციის # SARAS-A-966804)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

19 ნოემბერი, 2025

შპს „ასელა“



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	240	160
არამატერიალური აქტივები	7	2,541	1,614
აქტივების გამოყენების უფლება		29	56
შეზღუდული ფული	9	150	150
		2,960	1,980
მოკლევადიანი აქტივები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	2,153	1,306
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	1,701	707
		3,854	2,013
სულ აქტივები		6,814	3,993
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		7,045	7,045
აკუმულირებული ზარალი		(3,175)	(4,886)
სულ კაპიტალი		3,870	2,159
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები		-	36
		-	36
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	1,931	1,352
საგადასახადო ვალდებულებები	11	980	416
საიჯარო ვალდებულებები		33	30
		2,944	1,798
სულ ვალდებულებები		2,944	1,834
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		6,814	3,993

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 19 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	eSigned by: ცვეტან ბოგდანოვ სტოილოვი: c8e486c4-bbdd-....  Certified by Signify	ცვეტან ბოგდანოვ სტოილოვი
ფინანსური დეპარტამენტის უფროსი	eSigned by: სალომე ყიფიანი: 6b45a5c7-4e18-40b2-926e-d....  Certified by Signify	სალომე ყიფიანი

10-26 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ასელა“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	12	34,280	20,528
თამაშების მომწოდებლის ხარჯები	13	(6,355)	(5,073)
გადასახადები და მოსაკრებლები აზარტული თამაშების ფსონებზე	14	(8,767)	(4,209)
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი		(4,553)	(3,141)
მარკეტინგული ხარჯები	15	(4,463)	(2,730)
საკომისიოები გადახდის სისტემების პროვაიდერებისთვის	16	(3,321)	(2,188)
ცვეთა და ამორტიზაცია	6,7	(426)	(228)
პროგრამული მხარდაჭერის ხარჯი *		(2,853)	(2,104)
სხვა საოპერაციო ხარჯები*	17	(1,872)	(801)
საოპერაციო მოგება		1,670	54
ფინანსური შემოსავალი (ხარჯი), წმინდა მოგება (ზარალი) ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან, წმინდა	9	35	19
		6	(17)
მთლიანი სრული შემოსავალი		1,711	56

*წინა წლის რეკლასიფიკაცია - დეტალებისთვის იხილეთ მე-18 შენიშვნა

შპს „ასელა“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული ზარალი	სულ
ნაშთი 2023 წლის 01 იანვარს	7,045	(4,942)	2,103
მთლიანი სრული შემოსავალი	-	56	56
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	7,045	(4,886)	2,159
მთლიანი სრული შემოსავალი	-	1,711	1,711
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	7,045	(3,175)	3,870

შპს „ასელა“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2024	2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:			
მოგება დაბეგვრამდე		1,711	56
კორექტირებები:			
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		426	228
ზარალი (მოგება) ვალუტის კურსთა შორის		(6)	17
სხვაობიდან, წმინდა			
ფინანსური შემოსავალი	9	(41)	(28)
ფინანსური ხარჯი		6	9
		2,096	282
საოპერაციო აქტივების (ზრდა) კლება			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		(847)	(717)
საოპერაციო ვალდებულებების ზრდა (კლება)			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		583	808
საგადასახადო ვალდებულებები		564	149
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		2,396	522
საიჯარო ვალდებულების პროცენტის დაფარვა		(6)	(9)
მიღებული პროცენტები მიმდინარე ანგარიშებიდან		41	28
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული წმინდა ფულადი სახსრები		2,431	541
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრები			
ძირითადი საშუალებების შეძენა	6	(133)	(31)
არამატერიალური აქტივების შეძენა	7	(1,279)	(1,282)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(1,412)	(1,313)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:			
საიჯარო ვალდებულებების ძირის გადახდა		(33)	(26)
ფინანსური საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(33)	(26)
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა (კლება)		986	(798)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	9	857	1,672
კურსთაშორისი სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		8	(17)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოსათვის	9	1,851	857

10-26 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ასვლა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ასვლა“ (შემდგომში - „კომპანია“) რეგისტრირებულია საქართველოში 2020 წელს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით - 405425277. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი, N 52ა.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა აზარტული სათამაშო ვებგვერდის (www.asvla.com) საქმიანობის წარმართვა, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ონლაინ კაზინოს მომსახურებას (სლოტები). კომპანიამ დაიწყო აქტიური ბიზნესი საქმიანობა 2022 წლის ივლისიდან. კომპანიას აქვს აღებული ლიცენზიები მიწის სლოტ აპარატებისთვის, რომელიც გახსნილია ქ. თელავში, დავით აღმაშენებლის გამზირი, N 52ა.

კომპანიაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებული იყო 71 თანამშრომელი (2023: 68 თანამშრომელი).

2024 წლის 30 დეკემბერს შპს "ენგური ვენჩერს ლიმიტედმა" შპს "შხარასგან" შეისყიდა კომპანიის 100%-იანი წილი.

კომპანიის დამფუძნებლების შესახებ ინფორმაცია შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
შპს "ენგური ვენჩერს ლიმიტედ"	100 %	-
შპს "შხარა" (405424713)	-	100 %

კომპანიის დირექტორები არიან არჩილ გიორგაძე და ცვეტან ბოგდანოვ სტოილოვი.

2. მომზადების საფუძვლები

ანგარიშგების შესაბამისობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანობაში ფასს-ები) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გაკეთებას. ის, ასევე, კომპანიის ხელმძღვანელობისგან მოითხოვს, რომ მსჯელობის საფუძველზე ჩამოაყალიბოს და მიიღოს ყველაზე გონივრული სააღრიცხვო შეფასებები. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში. ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომლის შესაბამისადაც არის მომზადებული აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება, მიმოხილულია მე-3 შენიშვნაში.

შეფასების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანია აღრიცხვას აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის დაცვით და ფინანსურ ანგარიშგებებს ამზადებს ქართულ ლარში ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები დამრგვალებულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე იმ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანია საქართველოში. ხელმძღვანელობისთვის არ არის ცნობილი რაიმე განუსაზღვრელობა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას კომპანიის ფუნქციონირებას. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

შპს „ასვლა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

ახალი ფას-ების მიღება ან ცვლილებები სტანდარტებსა და ინტერპრეტაციებში

ა) 2024 წლის 1 იანვრის შემდეგ ძალაში შესული სტანდარტები და შესწორებები:

მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებები (შესწორება ბასს 7-ში და ფასს 7-ში). IASB-იმ შეიმუშავა ვიწრო მასშტაბის სტანდარტის კორექტირება, რამაც გამოიწვია შესწორება. შესწორებები მოითხოვს, საწარმოებმა მოამზადონ გარკვეული სპეციფიური განმარტებები (ხარისხობრივი და რაოდენობრივი), რომელიც შეეხება მიწოდების ფინანსურ შეთანხმებებს. შესწორებები ასევე იძლევა მითითებებს მიწოდების ფინანსური შეთანხმებების მახასიათებლებზე.

საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვისას (ფასს 16-ის შესწორება). შესწორების თანახმად, გამყიდველ-მოიჯარეს მოეთხოვება იმგვარად განსაზღვროს „საიჯარო გადახდები“ ან „გადასინჯული საიჯარო გადახდები“, რომ არ აღიაროს გამყიდველი-მოიჯარის მიერ შენარჩუნებულ გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოდენობის მოგება ან ზარალი.

ვალდებულების კლასიფიკაცია მოკლევადიანად ან გრძელვადიანად (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, საწარმოს მოეთხოვება გააჩნდეს ვალდებულების დაფარვის გადავადების არსებითი უფლება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ სულ მცირე თორმეტი თვით და აღნიშნული უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულების კლასიფიკაციაზე გავლენას არ ახდენს ალბათობა იმისა, რომ საწარმო გამოიყენებს უფლებას საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვით გადავადებასთან დაკავშირებით.

კოვენანტებიანი გრძელვადიანი ვალდებულებები (ბასს 1-ში შესწორება) შესწორების თანახმად, თუ საწარმოს გადავადების უფლება წარმოადგენს კონკრეტული პირობების დაკმაყოფილების საგანს, ასეთი პირობები გავლენას ახდენს მაშინ, როცა უფლება არსებობს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, საწარმომ შეასრულოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის დასრულებამდე ან დასრულებისას და არა მაშინ, როცა საწარმო ვალდებულია დააკმაყოფილოს პირობები საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ. აღნიშნული შესწორება, ასევე, განმარტავს „დაფარვის“ მნიშვნელობას, ვალდებულების მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციის მიზნით.

ცვლილებების გამოყენებას მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ბ) სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც ჯერ არ შესულა ძალაში

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2025 წლის 1 იანვრიდან

გასაცვლელი სავალუტო კურსის არ არსებობა (შესწორება ბასს 21-ში) შესწორება წარმოადგენს მოთხოვნას, შეფასდეს როდის იცვლება ვალუტა სხვა ვალუტაში და როდის არა. შესწორება საწარმოს სთხოვს განსაზღვროს სპოტ სავალუტო კური, როდესაც საწარმო დაასკვნის რომ ვალუტა სხვა ვალუტაში არ იცვლება.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2026 წლის 1 იანვრიდან

ცვლილებები ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციასა და შეფასებაში (შესწორებები ფასს 9-სა და ფასს 7-ში). ცვლილებები შეეხო შემდეგ მოთხოვნებს ფასს 9-სა და ფასს 7-ში:

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

► ელექტრონული გადარიცხვით ანგარიშსწორებული ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა;

ფინანსური აქტივის კლასიფიკაცია

► ძირითადი საკრედიტო შეთანხმების მნიშვნელოვანი ელემენტები (მხოლოდ ძირის დაფარვა და პროცენტის შეფასება – ‘SPPI ტესტი’);

► სახელშეკრულებო პირობები, რომლებიც ცვლიან ფულადი ნაკადების ვადებს ან სიდიდეს;

► ფინანსური აქტივი რეგრესის უფლების გარეშე;

► ინვესტიციები ხელშეკრულებით დაკავშირებულ ინსტრუმენტებში.

ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

► ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში, რომლებიც შეფასებულია რეალური ღირებულებით სხვა მთლიანი შემოსავლის ასახვით;

2. მომზადების საფუძვლები (გაგრძელება)

▶ სახელშეკრულებო პირობები, რომლებმაც შეიძლება შეცვალონ ფულადი ნაკადების სახელშეკრულებო ვადა ან მოცულობა.

ფასს სტანდარტების წლიური გაუმჯობესება. წლიური გაუმჯობესება შემოიფარგლება ცვლილებებით, რომლებიც აზუსტებს ფასს სტანდარტების ფორმულირებას ან ასწორებს სტანდარტის მიერ გამოწვეულ მცირე არასასურველ შედეგებს.

▶ მცირე დაზუსტებები და გაუმჯობესება შეეხება შემდეგ სტანდარტებს: IFRS 1, IFRS 7, IFRS 9, IFRS 10 და IAS 7 (მაგალითად, ჰეჯირების აღრიცხვა, საიჯარო ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა).

ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ბუნებაზე დამოკიდებულ ელექტროენერგიას (აღრე ელექტროენერგიის შესყიდვის ხელშეკრულებები) (ფასს 9-სა და ფასს 7-ში ცვლილებები). ცვლილებები მოიცავს:

- ▶ „საკუთარი მოხმარების“ მოთხოვნების გამოყენების დაზუსტება;
- ▶ ჰეჯირების აღრიცხვის ნებართვა, თუ ეს ხელშეკრულებები გამოიყენება ჰეჯირების ინსტრუმენტებად; და
- ▶ ახალი ახსნა-განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნების დამატება, რათა ინვესტორებს შეეძლოთ გააცნობიერონ ამ ხელშეკრულებების გავლენა კომპანიის ფინანსურ მაჩვენებელზე და ფულად ნაკადებზე.

სტანდარტები და შესწორებები, რომლებიც ძალაში შედის 2027 წლის 1 იანვრიდან

ფასს 18 წარდგენა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები ფინანსურ ანგარიშგებაში. ფასს 18, რომელიც გამოქვეყნდა ბასს-ის მიერ 2024 წლის 9 აპრილს, ასახავს მნიშვნელოვან ახალ მოთხოვნებს თუ როგორ არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, განსაკუთრებული აქცენტით შემდეგ საკითხებზე:

- ▶ მოგება-ზარალის ანგარიშგება, მათ შორის მოთხოვნები სავალდებულო შუალედური ჯამების წარდგენის შესახებ.
- ▶ ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა, მათ შორის ზოგადი პრინციპების დანერგვა, თუ როგორ უნდა მოხდეს ინფორმაციის დაჯგუფება და ჩაშლა ფინანსურ ანგარიშგებებში.
- ▶ ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ შესრულების ზომებთან (MPMs) დაკავშირებული ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც წარმოადგენს ფინანსური ეფექტურობის საზომებს, რომელიც ეფუძნება ფასს სტანდარტების მიერ მოთხოვნილ ჯამს ან შუალედურ ჯამს.

ფასს 19 შვილობილი კომპანიები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე: ახსნა-განმარტებითი შენიშვნები. 2024 წლის 9 მაისს, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ (IASB) გამოსცა IFRS 19 რომელიც შესაბამის შვილობილ კომპანიებს საშუალებას აძლევს გამოიყენონ შემცირებული გამჟღავნების მოთხოვნები ფასს სტანდარტების აღიარების, შეფასებისა და წარდგენის მოთხოვნების გამოყენებისას. საწარმოს მიერ ფასს 19-ის გამოყენების დასაშვები კრიტერიუმებია:

- ▶ საწარმო არის შვილობილი კომპანია;
- ▶ საწარმოს არ გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება; და
- ▶ საწარმოს ჰყავს საბოლოო ან შუალედური მშობელი, რომელიც აწარმოებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც ხელმისაწვდომია საჯარო გამოყენებისთვის, რომელიც შეესაბამება სრულ ფასს სტანდარტებს.

თუ ეს სხვაგვარად არ არის აღწერილი, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას იქონიებენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები

ა) სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

ბ) ოპერაციები და ნაშთები

უცხოურ ვალუტაში არსებული ოპერაციები გადაიანგარიშება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღეს დადგენილი გაცვლითი კურსების შესაბამისად ან იმ თარიღში არსებული კურსით, რომელშიც მოხდა გადაფასება.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის.

კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორისი სხვაობები აისახება პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც „ზარალი ვალუტის კურსთა შორის სხვაობიდან, წმინდა“.

უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი) იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი
კურსი 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	2.8068
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფასს 9-ის მიხედვით ფინანსური აქტივები შეიძლება დაკლასიფიცირდეს სამ კატეგორიად - „ამორტიზებული ღირებულებით“, „რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“, „რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით“.

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნეს მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიად „ამორტიზებული ღირებულებით“.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივი

მოცემული აქტივები წარმოიქმნება მომხმარებლებისთვის საქონლისა და მომსახურების მიწოდებიდან (მაგ. სავაჭრო მოთხოვნები), ასევე მოიცავს სხვა სახის ფინანსურ აქტივებს, რომლის ფლობის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და ეს ფულადი ნაკადები წარმოადგენს მხოლოდ ძირს და მასზე დარიცხულ პროცენტს. ისინი საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან ან გამოშვებასთან და შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით, ექვექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების რეზერვის მოცულობით.

მიმდინარე სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი აღიარებულია პრაქტიკული ხასიათის გამარტივებული მიდგომის საფუძველზე, რომლის მიხედვით არსებობის მანძილზე სავაჭრო მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება რეზერვების მატრიცის გამოყენებით. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად.

კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობას. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც გამოწვეულია ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკიდან, რათა განისაზღვროს სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. სავაჭრო მოთხოვნები აღრიცხულია წმინდა ღირებულებით, რომლის გაუფასურების რეზერვიც აღრიცხულია განცალკევებულ ანგარიშზე ხარჯის კორესპოდენციით, რომელიც აღიარებულია ხარჯად სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. კომპანია სავაჭრო მოთხოვნების სრულ ღირებულებას ჩამოწერს რეზერვის მოცულობაზე, როდესაც განსაზღვრავს რომ სავაჭრო მოთხოვნა აღარ ექვემდებარება დაბრუნებას.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსური აქტივები შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებსა და ფულსა და ფულის ეკვივალენტებს.

ფინანსური ვალდებულებები

მიზნიდან გამომდინარე კომპანია მის ფინანსურ ვალდებულებებს აკლასიფიცირებს შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთით: რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით და სხვა ფინანსურ ვალდებულებებად. კომპანიას ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირებული აქვს „სხვა ფინანსური ვალდებულებების“ კატეგორიაში. სხვა ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებსა და საიჯარო ვალდებულებებს.

სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას.

ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისთვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყისი გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისთვის.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადია ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით. სამ თვეზე მეტი ვადიანობით შეზღუდული სახსრები არ შედის ნაღდი ფულისა და ფულის ეკვივალენტებში.

ძირითადი საშუალებები

აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები შეფასებულია, როგორც თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

თვითღირებულება მოიცავს დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის შეძენასთან.

ძირითადი საშუალებების ერთეულის რეალიზაციიდან მიღებული სარგებელი ან დანაკარგი განისაზღვრება, როგორც ძირითადი საშუალების წმინდა საბალანსო ღირებულებასა და გაყიდვიდან ამონაგებს შორის სხვაობა და, შესაბამისად, აისახება მოგება ან ზარალში სხვა შემოსავლების/სხვა ხარჯების ნაწილში.

შემდგომი ხარჯები

თავდაპირველი აღიარების შემდგომი კაპიტალიზებადი ხარჯები მოიცავს რემონტისა და აქტივის შეცვლის იმ დანახარჯებს, რომლებიც ახანგრძლივებს აქტივის სასიცოცხლო ვადას ან ზრდის მწარმოებლურობას. რემონტისა და შენახვის ხარჯები, რომლებიც არ აკმაყოფილებს კაპიტალიზებადი ხარჯების კრიტერიუმებს, აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ის გაიწევა, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ცვეთა

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით ცალკეული აქტივისათვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, ვინაიდან ეს საუკეთესოდ წარმოაჩენს აქტივში განთავსებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარებას.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის მიმდინარე და შესადარისი პერიოდების სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

ჯგუფი

კომპიუტერები და სხვა ტექნიკური მოწყობილობები

სასარგებლო მომსახურების
ვადა (წელი)

5-15

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოხილვა და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით და შემდგომში ამორტიზირდება წრფივი მეთოდით სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ამორტიზაციის ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში „ცვეთა და ამორტიზაციის“ მუხლში. კომპანიის ამორტიზებული აქტივები მოიცავს ლიცენზიებსა და ვებ-გვერდს. ვებ-გვერდი მოიცავს დეველოპერული მომსახურებების კაპიტალიზაციებს, რითიც უმჯობესდება ვებ-გვერდის დიზაინი და ემატება ფუნქციონალები.

არამატერიალური აქტივის თვითღირებულება მოიცავს ისეთ დანახარჯებს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის შეძენასთან და/ან შექმნასთან.

არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება წრფივი მეთოდით. მიმდინარე პერიოდში კომპანიამ გადახედა ვებ-გვერდის (სათამაშო პლატფორმის) სასარგებლო მომსახურების ვადას. დეტალური ინფორმაცია იხილეთ მე-4 შენიშვნაში.

დაბეგვრა

მიმდინარე მოგების გადასახადი - საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადით იბეგრება წმინდა მოგების განაწილება. საანგარიშგებო პერიოდში მოგების გადასახადის მოქმედი განაკვეთი არის 15%, ტექნიკურად, გადასახადის დაანგარიშების მიზნებისთვის დასაბეგრ მოგებას მიესადაგება შემდეგი განაკვეთი - 15%/85%. მოგების გადასახადის გადახდა ხდება ფიზიკურ და არა-რეზიდენტ (როგორც ფიზიკურ, ისე იურიდიულ) პირებზე გაცემულ დივიდენდზე.

საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, მოგების გადასახადით იბეგრება შემდეგი ოპერაციები/გადახდები:

- დივიდენდის გადახდა
- სახელშეკრულებო და საბაზრო ფასის შორის სხვაობა
- ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საქონლის უსასყიდლო მიწოდება
- ლიმიტის ზემოთ წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოში არსებული საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, აქტივებისა და ვალდებულებების საგადასახადო და ფინანსურ ბაზებს შორის სხვაობები არ წარმოშობენ გადავადებულ საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას.

გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა, აღიარდება მავალდებულებელი მოვლენის წარმოქმნის დროს. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც ავალდებულებს ჯგუფს გადაიხადოს გადასახადი. გადასახადები დაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები აღიარდება აქტივად.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, რადგან შემოსავალი ონლაინ კაზინოდან იბეგრება, ონლაინ კაზინოს საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების შესაბამისი შემდგომი განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

გადასახადი კაზინოს თამაშებზე - ონლაინ კაზინოს საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი იბეგრება მოგების გადასახადის 15%-იანი განაკვეთით (2023: 10%), მსგავსი საქმიანობიდან მიღებული მთლიანი სათამაშო შემოსავლის მიხედვით (ანუ სხვაობა მიღებულ ფსონებსა და გადახდილ მოგებას შორის).

შპს „ასვლა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდების განაწილება გათავისუფლებულია მოგების გადასახადისგან. ასევე, 2024 წლიდან, მთლიანი სათამაშო შემოსავალი ონლაინ კაზინოდან იბეგრება 15%-ით (2023: 10%-ით), ონლაინ სპორტული ფსონებიდან და ონლაინ კაზინოს საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების შესაბამისი შემდგომი განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

სისტემურ-ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხის გადასახადი - 2024 წლიდან 5%-იანი საშემოსავლო გადასახადის განაკვეთით იბეგრება (2023: 2%-იანი) სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ აზარტულ ან/და მომგებიან თამაშობებში (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი წამახალისებელი გათამაშებისა) მონაწილე პირის მიერ სისტემურ-ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხა.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალის მოცულობა განისაზღვრება მფლობელების მიერ. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება საწესდებო კაპიტალად კომპანიის მთლიან კაპიტალში, იმდენად, რამდენადაც იგი შეესაბამება კომპანიის მფლობელების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის მიერ მიღებული შემონატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდები არის გაუნაწილებელი მოგების განაწილება მათი გამოცხადების პერიოდში ან პერიოდის შემდგომ.

ამონაგები

კომპანია აღიარებს შემოსავალს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის ან მომსახურების გადაცემის სანაცვლოდ. შემოსავალი აღიარდება გარიგების ფასით. გარიგების ფასი არის ანაზღაურება, რომლის მიღებასაც კომპანია მოელის დაპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე მომხმარებლისთვის კონტროლის გადაცემის შედეგად.

ონლაინ კაზინოს თამაშებიდან (სლოტ თამაშებიდან) მიღებული შემოსავალი წარმოადგენს კომპანიის ძირითად შემოსავალს. ფინანსური შედეგი ყოველი თამაშის დასრულებისას მყისიერად დგება.

კაზინოს თამაშებიდან მიღებული შემოსავალი წარმოადგენს წმინდა მოგებებს, ანუ სხვაობას დადებულ ფსონებსა და მომხმარებელთა მოგებებს შორის. პერიოდის განმავლობაში გაწეული, მომხმარებელთა წამახალისებელი აქციების (მათ შორის უფასო დატრიალებების „ფრისპინების“), ჯაკპოტებისა და ბონუსების ხარჯები აკლდება ონლაინ კაზინოდან მიღებულ შემოსავალს და წარმოდგენილია წმინდა სახით მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

მომსახურების გაწევისას წარმოქმნილი ხარჯები აღიარდება შემოსავლების პროპორციულად.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

ხელფასი და მასთან დაკავშირებული ანაზღაურება

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება იმ წელს, როცა თანამშრომლისგან ხდება შესაბამისი მომსახურების მიღება.

ანარიცხები, პირობითი აქტივები და ვალდებულებები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა ჯგუფიდან არ არის მოსალოდნელი.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა ჯგუფში შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა ჯგუფში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება წარმოადგენს ჯგუფის მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს ჯგუფიდან ეკონომიკური სარგებლის გასვლას. მავალდებულებელი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ ჯგუფს არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს ჯგუფის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, ჯგუფის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, ჯგუფი მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს ჯგუფთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ჯგუფის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისთვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

კომპანია ახდენს შეფასებებისა და დაშვებების გადახედვას საწარმოს ფუნქციონირებადობის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასების გადასინჯვის შედეგები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შეფასება იქნა გადახედული, თუ აღნიშნული ეხება მხოლოდ ამ პერიოდს; ან გადასინჯვისა და მომავალ პერიოდებში, თუ გადახედვა ეხება ორივე, მიმდინარე და მომავალ პერიოდებს.

ქვემოთ მოცემულია ყველაზე მნიშვნელოვანი არეები, რომლებიც ხელმძღვანელობისგან მოითხოვს შეფასებებსა და დაშვებებს:

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთის და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

2024 წელს კომპანიამ გადახედა არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადებს, რის შედეგადაც გაიზარდა სათამაშო პლატფორმის სასარგებლო მომსახურების ვადა. სასარგებლო მომსახურების ვადის გაზრდის მიზეზი იყო აღნიშნულ არამატერიალურ აქტივზე განხორციელებული მნიშვნელოვანი განვითარების ხარჯების გაწევა, რამაც არამატერიალური აქტივის შემატა განახლებული მოდულები და გააუმჯობესა არსებული ფუნქციონალობა. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დარჩენილი სასარგებლო მომსახურებების ვადა განისაზღვრა 6 წლით. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია არ გადახედვდა სასარგებლო მომსახურების ვადებს, მიმდინარე პერიოდის ამორტიზაციის ხარჯი იქნებოდა 490 ათასი ლარი ნაცვლად 352 ათასი ლარისა.

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი
- ლიკვიდურობის რისკი
- საბაზრო რისკი:
 - სავალუტო რისკი

კომპანია დგას ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენებიდან წარმოქმნილი რისკების წინაშე. ეს განმარტებითი შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკებსა და პროცედურებს რისკების მართვისათვის და რისკების შეფასების მეთოდებს. ამ რისკებთან დაკავშირებული დამატებითი რაოდენობრივი ინფორმაცია წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც არიან ლიკვიდურნი, ან არიან მოკლევადიანი, იგულისხმება, რომ მათი საბალანსო ღირებულება ახლოსაა რეალურ ღირებულებასთან.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე განიცდის ფინანსურ ზარალს სხვა მხარის მიერ ვალდებულების ვერ შესრულებით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ისეთი ოპერაციების შედეგად, რომელიც წარმოშობს ფინანსურ აქტივებს. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალური მოცულობის საკრედიტო რისკს.

საკრედიტო რისკის მატარებელი ფინანსური აქტივების მაქსიმალური მოცულობა შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფული და ფულის ეკვივალენტები (ნაღდი ფულის გარდა)	1,840	849
სხვა ფინანსური აქტივები	1,263	1,000
	3,103	1,849

საკრედიტო რისკის მატარებელი ფინანსური აქტივები კომპანიისთვის არის სავაჭრო მოთხოვნები. კომპანიის დებიტორები წარმოადგენენ სხვადასხვა საგადახდო მომსახურების პროვაიდერებსა და ფინანსურ ინსტიტუტებს, რომლებიც წარმატებით ოპერირებენ ადგილობრივ ბაზარზე. კომპანიის მიერ კლიენტებისთვის შეთავაზებულ საკრედიტო პირობებში მითითებული გადახდის ვადა არასდროს აჭარბებს 30 დღეს, რის გამოც მნიშვნელოვნად მცირდება საკრედიტო რისკი.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ კომპანიას შეეძლება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს კომპანიის ფუნქციონირებაზე.

ლიკვიდურობის რისკის გასაწეობად, ხელმძღვანელობა რეგულარულად აკონტროლებს მომავალ ფულად ნაკადებს. ლიკვიდურობის ანალიზი მოცემულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში. ქვემოთ მოყვანილი ინფორმაცია დაფუძნებულია ხელმძღვანელობის მიერ მომზადებულ ინფორმაციაზე.

შპს „ასვლა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

ლიკვიდურობის ანალიზი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	შენიშვნა	1 წლამდე
სხვა ფინანსური ვალდებულებები	10	1,618
საიჯარო ვალდებულებები		33
		1,651

ლიკვიდურობის ანალიზი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ფინანსური ვალდებულებები	შენიშვნა	1 წლამდე	1 წლიდან 5 წლამდე	სულ
სხვა ფინანსური ვალდებულებები	10	1,134	-	1,134
საიჯარო ვალდებულებები		36	36	72
		1,170	36	1,206

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გავლენით. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი, სავაჭრო ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები შეიცვლება საპროცენტო განაკვეთის ცვლილებისა და (საპროცენტო რისკი) უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის გამო (სავალუტო რისკი).

კომპანია არ ფლობს პროცენტიან ფინანსურ ინსტრუმენტებს. შესაბამისად, არ აქვს საპროცენტო რისკი.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიშობა ერთი ვალუტის მიმართ მეორის ფასის ცვლილებით. სავალუტო რისკი არანაკლებ გავლენას ახდენს კომპანიის ფინანსური რისკების განსაზღვრაში. კომპანია ატარებს სავალუტო რისკს, რომელიც დაკავშირებულია მის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულად ნაკადებთან.

სავალუტო რისკის ზეგავლენა კომპანიაზე 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	ლარი	აშშ დოლარი	სხვა ვალუტა	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	647	1,185	19	1,851
სხვა ფინანსური აქტივები	8	1,263	-	-	1,263
		1,910	1,185	19	3,114
ფინანსური ვალდებულებები					
სხვა ფინანსური ვალდებულებები	10	1,501	117	-	1,618
საიჯარო ვალდებულება		33	-	-	33
		1,534	117	-	1,651
დია საბალანსო პოზიცია		376	1,068	19	1,463

შპს „ასვლა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

5. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა (გაგრძელება)

სავალუტო რისკის ზეგავლენა კომპანიაზე 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	შენიშვნა	ლარი	აშშ დოლარი	სხვა ვალუტა	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	732	119	6	857
სხვა ფინანსური აქტივები	8	1,000	-	-	1,000
		<u>1,732</u>	<u>119</u>	<u>6</u>	<u>1,857</u>
ფინანსური ვალდებულებები					
სხვა ფინანსური ვალდებულებები	10	973	150	11	1,134
საიჯარო ვალდებულება		66	-	-	66
		<u>1,039</u>	<u>150</u>	<u>11</u>	<u>1,200</u>
ღია საბალანსო პოზიცია		<u>693</u>	<u>(31)</u>	<u>(5)</u>	<u>657</u>

სავალუტო რისკისადმი მგრძნობელობა

მოცემული ცხრილი წარმოადგენს კომპანიის მგრძნობელობას უცხოური ვალუტის ლართან მიმართებაში 20%-ით ცვლილების შემთხვევაში. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით.

წმინდა მოგებასა და კაპიტალზე ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასების ეფექტი მნიშვნელოვან სავალუტო ნაშთებზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სავალუტო რისკის მგრძნობელობა	31 დეკემბერი 2024		31 დეკემბერი 2023	
	+20%	-20%	+20%	-20%
აშშ დოლარის ეფექტი	217	(217)	(7)	7

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზანი კაპიტალის მხარდაჭერის პროცესში არის შემდეგი:

- უზრუნველყოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტად ფუნქციონირება; და
- კომპანიის მფლობელებს მოუტანოს შესაბამისი ამოგება.

კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს და აკორექტირებს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

შპს „ასვლა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

6. ძირითადი საშუალებები

	კომპიუტერები და სხვა ტექნიკური მოწყობილობები	თამაშისთვის საჭირო აღჭურვილობა	სულ
ისტორიული ღირებულება			
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	199	16	215
შემოსვლა	35	-	35
გასვლა	(6)	-	(6)
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	228	16	244
შემოსვლა	22	111	133
გასვლა	(10)	-	(10)
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	240	127	367
დაგროვილი ცვეთა			
ბალანსი 2022 წლის 31 დეკემბერი	(43)	(2)	(45)
ცვეთა	(40)	(1)	(41)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	2	-	2
ბალანსი 2023 წლის 31 დეკემბერი	(81)	(3)	(84)
ცვეთა	(43)	(4)	(47)
გასული ძირითადი საშუალების ცვეთა	4	-	4
ბალანსი 2024 წლის 31 დეკემბერი	(120)	(7)	(127)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2023 წლის 31 დეკემბერი	147	13	160
2024 წლის 31 დეკემბერი	120	120	240

7. არამატერიალური აქტივები

	ლიცენზიები	ვებსაიტი- სათამაშო პლატფორმა*	სულ
ისტორიული ღირებულება			
2022 წლის 31 დეკემბერი	4	532	536
შემოსვლა	-	1,282	1,282
2023 წლის 31 დეკემბერი	4	1,814	1,818
შემოსვლა	-	1,279	1,279
2024 წლის 31 დეკემბერი	4	3,093	3,097
დაგროვილი ამორტიზაცია			
2022 წლის 31 დეკემბერი	-	(44)	(44)
ამორტიზაცია	-	(160)	(160)
2023 წლის 31 დეკემბერი	-	(204)	(204)
ამორტიზაცია	(1)	(351)	(352)
2024 წლის 31 დეკემბერი	(1)	(555)	(556)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
2023 წლის 31 დეკემბერი	4	1,610	1,614
2024 წლის 31 დეკემბერი	3	2,538	2,541

*მომწოდებელთან ხელშეკრულების ფარგლებში, კომპანია აპირებს განავითაროს პლატფორმა და დაამატოს გარკვეული მოდულები და ფუნქციები 2025 წლის 31 დეკემბრამდე. დეტალებისთვის იხილეთ მე-19 შენიშვნა.

შპს „ასვლა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური მოთხოვნები		
მოთხოვნები საგადახდო მომსახურების პროვაიდერების მიმართ	1,263	1,000
	1,263	1,000
არაფინანსური მოთხოვნები		
წინასწარ გადახდილი პროგრამული მხარდაჭერის ხარჯი	366	-
წინასწარ გადახდილი სალიცენზიო და აზარტული თამაშების მოსაკრებელი	343	306
სხვა გადახდილი ავანსები	181	-
	2,153	1,306

კომპანიის დებიტორები წარმოადგენენ სხვადასხვა საგადახდო მომსახურების პროვაიდერებსა და ფინანსური ინსტიტუტებს, რომლებიც წარმატებით ოპერირებენ ადგილობრივ ბაზარზე. ისინი ფარავენ ვალდებულებას სახელშეკრულებო პირობის ფარგლებში, რომელიც როგორც წესი, არასოდეს აჭარბებს 30 დღეს. აღნიშნულის გამო მათი გაუფასურების რისკი არაარსებითია.

მოთხოვნების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში.

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნაღდი ფული	11	8
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	486	574
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	1,204	125
შეზღუდული ფული*	150	150
	1,851	857

კომპანიის არცერთი ნაშთი არ არის ვადაგადაცემული. ბანკში არსებული ნაშთებისთვის ზარალის რეზერვი არ აღიარებულა, მისი მოკლევადიანი ხასიათის გამო.

ფული და ფულის ეკვივალენტების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში.

შეზღუდულ ფულს წარმოადგენს სარეზერვო თანხები სს „საქართველოს ბანკსა“ და სს „თიბისი ბანკში“ 100,000 ლარისა და 50,000 ლარის ოდენობით, 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად. აღნიშნული რეზერვები შექმნილია ბანკების მინიმალური მოთხოვნის შესაბამისად ელექტრონული კომერციის ანგარიშებზე, რომლებზეც თანხის ჩარიცხვა და გატანა ხდება მოთამაშეების მიერ.

კომპანიას ერიცხება საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე ანგარიშებზე. დარიცხულმა საპროცენტო შემოსავალმა 2024 წელს შეადგინა 41 ათასი ლარი (2023: 28 ათასი ლარი).

შპს „ასვლა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ფინანსური ვალდებულებები		
ვალდებულებები თამაშის მომწოდებლებთან	786	602
სავაჭრო და საოპერაციო ვალდებულებები	563	321
ჯარიმის რეზერვი*	110	110
სხვა ვალდებულებები	159	101
	1,618	1,134
არაფინანსური ვალდებულებები		
მომხმარებლების მიერ დაგროვილი მონეტები**	313	218
	1,931	1,352

* დეტალებისთვის იხილეთ მე-19 შენიშვნა.

** მომხმარებლების მიერ დაგროვილი მონეტები წარმოადგენს მოთამაშეების მიერ თამაშის პროცესში დაგროვილ მონეტებს, რომელთა გადაცვლა შესაძლებელია პრიზებში ან ფრისპინის მომსახურებაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების დაყოფა ვალუტების მიხედვით წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში.

11. საგადასახადო ვალდებულებები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს გაერთიანებულ ანგარიშზე. შედეგად, 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას ნეტო ღირებულებით, თანხით 980 ათასი ლარი (ვალდებულება) და 416 ათასი ლარი (ვალდებულება), შესაბამისად.

12. ამონაგები

კომპანიის შემოსავალმა 2024 და 2023 წლის დასრულებული წლისთვის შეადგინა 34,280 ათასი ლარი და 20,528 ათასი ლარი, შესაბამისად.

კომპანიის მთავარ შემოსავალს წარმოადგენს ონლაინ კაზინოს თამაშებიდან (სლოტ თამაშებიდან) მიღებული შემოსავალი. ფინანსური შედეგი დგება ყოველი თამაშის დასრულებისას.

შემოსავალი აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც მომხმარებელი მიიღებს საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლს და შესაბამისად, მისი პირდაპირი გამოყენებისა და მისგან სარგებლის მიღების შესაძლებლობას.

წმინდა შემოსავალი სათამაშო საქმიანობიდან წარმოდგენილია კლიენტისთვის შეთავაზებული წამახალისებელი აქციების („ფრისპინი“, „ფრიბეთი“, და ა.შ.), ჯეკპოტებისა და ბონუსების გამოკლებით.

ამონაგები წარმოიშობება საქართველოში მცხოვრები ონლაინ მომხმარებლებისგან.

13. თამაშების მომწოდებლის ხარჯები

თამაშების მომწოდებლების ხარჯმა 2024 და 2023 წლის დასრულებული წლისათვის შეადგინა 6,355 ათასი ლარი და 5,073 ათასი ლარი, შესაბამისად.

კომპანია თითოეულ პროვაიდერთან საკომისიოს იხდის დაგენერირებული GGR-ის (Gross Gaming Revenue - მთლიანი შემოსავალი თამაშებიდან) მიხედვით. GGR-ის თანხის ცვლილების შესაბამისად იცვლება შესაბამისი საპროცენტო განაკვეთი.

შპს „ასვლა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

14. გადასახადები და მოსაკრებლები აზარტული თამაშების ფსონებზე

	2024	2023
სათამაშო ბიზნესთან დაკავშირებული მოგების გადასახადი	(7,294)	(2,946)
სათამაშო ბიზნესის ლიცენზიები და მოსაკრებელი	(1,223)	(1,109)
სათამაშო აქტივობებთან დაკავშირებული სხვა გადასახადები	(250)	(154)
	(8,767)	(4,209)

15. მარკეტინგული ხარჯები

	2024	2023
მარკეტინგისა და რეკლამის ხარჯი	(2,325)	(1,593)
სტრიმერების ხარჯი	(2,138)	(1,137)
	(4,463)	(2,730)

16. საკომისიოები გადახდის სისტემების პროვაიდერებისთვის

კომპანია საგადახდო მომსახურების პროვაიდერს მომსახურებისთვის უხდის საკომისიოს, როდესაც კომპანიის სერვისებზე წვდომისთვის მოთამაშეები ავსებენ საკუთარ სათამაშო ანგარიშებს ან ანაღდევენ თანხას სათამაშო ანგარიშებიდან. გადახდის სისტემის პროვაიდერის მიხედვით, ეს საკომისიო შეიძლება იყოს ფიქსირებული თანხა ან შევსებული თანხის გარკვეული პროცენტი.

გადახდის სისტემების მომწოდებლებისთვის გადახდილმა საკომისიო ხარჯებმა 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 3,321 ათასი ლარი და 2,188 ათასი ლარი, შესაბამისად.

17. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024	2023
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება	(843)	(444)
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	(670)	(123)
საოფისე ხარჯები	(153)	(57)
ბანკის საკომისიო ხარჯი	(28)	(16)
სხვა	(178)	(161)
	(1,872)	(801)

18. წინა წლის რეკლასიფიკაცია

კომპანიამ გადაწყვიტა უკეთესი წარდგენის მიზნისთვის, პროგრამული მხარდაჭერის ხარჯი შესაბამისი უკუდაბეგვრის დღე-ს ჩათვლით ცალკე გამოეყო სხვა ხარჯებისგან.

ფინანსური ანგარიშგების მუხლი	31 დეკემბერი 2023 რეკლასიფიკაციამდე	რეკლასიფიკაცია	31 დეკემბერი 2023 რეკლასიფიკაციის შემდეგ
სხვა ხარჯები	(2,905)	(2,104)	(801)
პროგრამული მხარდაჭერის ხარჯი	-	(2,104)	(2,104)

19. პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

გადასახადები - საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კომპანიის ბოლო სამი წლის მონაცემების შემოწმება.

საოპერაციო გარემო - განვითარებადი ბაზრები, როგორცაა საქართველო, ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს, სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, როგორცაა ეკონომიკური, პოლიტიკური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკები. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენს საქართველოში ბიზნესზე, სწრაფად იცვლება, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები კი სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ მიმართულებაზე დიდ გავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოში განვითარებულ მოვლენებთან ერთად.

სასამართლო დავები - 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აქვს ერთი მიმდინარე სასამართლო დავა. 2023 წელს კომპანია დაჯარიმდა ერთ-ერთი სოციალური ქსელის საშუალებით რეკლამის გავრცელების მუხლით, თუმცა კომპანია აღნიშნულს არ ეთანხმება და შესაბამისად წამოიწყო სასამართლო დავა. მიუხედავად იმისა, რომ კომპანია არ ეთანხმება ჯარიმას, მაინც არსებობს შესაძლებლობა, რომ კომპანია დაჯარიმდებოდეს. შესაბამისად, შექმნილია ანარიცხი, რომლის მოცულობაც შეადგენს 110,000 ლარს.

არამატერიალური აქტივის შესყიდვის უფლება - კომპანია იღებს პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურებას დაკავშირებული მხარისგან და გააჩნია ერთჯერადი შესყიდვის უფლება (Purchase Option) პროგრამული უზრუნველყოფის უწყვეტი, არაექსკლუზიური ლიცენზიის მისაღებად, რომელიც ვალიდურია 2026 წლის აგვისტოს განმავლობაში (უფლების გამოყენების ფანჯარა - „Option window“). შესყიდვის უფლების გამოყენების შემთხვევაში, მუდმივი ლიცენზიის შესყიდვის ფასი იქნება 1,500 ათას აშშ დოლარს გამოკლებული თითოეული სრული კალენდარული თვის განმავლობაში მიღებული მომსახურებისთვის გაწეული თანხები 2024 წლის 1 მაისიდან 2026 წლის 31 ივლისის ჩათვლით. შესაბამისი უფლებების განხორციელებამდე და თუ შესყიდვის უფლება გამოყენებული არ იქნება, კომპანია გააგრძელებს პროგრამული მომსახურების მიღებას მოქმედი ხელშეკრულების ფარგლებში 2029 წლის აპრილამდე. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს გადაწყვეტილი, გამოიყენებს თუ არა შესყიდვის უფლებას.

ვალდებულებები არამატერიალური აქტივის განვითარების ხარჯების შესყიდვაზე - მომწოდებელთან ხელშეკრულების ფარგლებში, კომპანია აპირებს განავითაროს პლატფორმა და დაამატოს გარკვეული მოდულები და ფუნქციები 2025 წლის 31 დეკემბრამდე. რის მიხედვითაც მომავალში გადასახდელი თანხა შეადგენს 957 ათას ლარს.

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისთვის დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ანგარიშგების არე	სხვა დაკავშირებული მხარე	სულ
პროგრამული მხარდაჭერის ხარჯი	648	648
სხვა საოპერაციო ხარჯები	381	381

ფინანსური ანგარიშგების არე	სხვა დაკავშირებული მხარე	სულ
არამატერიალური აქტივების შემოსვლა	1,279	1,279
გადახდილი ავანსები	366	366

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისთვის დაკავშირებულ მხარეებთან ნაშთები და ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური ანგარიშგების არე	სხვა დაკავშირებული მხარე	სულ
სხვა საოპერაციო ხარჯები	239	239

შპს „ასვლა“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული წლისთვის

(ათას ლარში)

20. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან (გაგრძელება)

ფინანსური ანგარიშგების არე	სხვა დაკავშირებული მხარე	სულ
არამატერიალური აქტივების შემოსვლა	1,282	1,282
უმაღლესი ხელმძღვანელობის გასამრჯელო შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:		
	2024	2023
უმაღლესი ხელმძღვანელობის გასამრჯელო მოკლევადიანი სარგებელი	(1,614)	(924)

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2025 წლის 1 იანვრიდან, სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობ პირთათვის მოგების გადასახადის განაკვეთები ნაცვლად 15%-სა განისაზღვრა 20%-ით.

2025 წლის ივლისში კომპანიამ მიიღო დაკავშირებული მხარისგან 100 ათასი დოლარის ოდენობის სესხი, რომელიც სრულად ჩაფარა 2025 წლის 31 ოქტომბერს.

შპს „ასვლა“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

1. კომპანიის შესახებ	29
2. კომპანიის ძირითადი საქმიანობა	29
2.1 ბიზნეს საქმიანობა და მიზნები	29
2.2 ბაზრის მიმოხილვა	30
2.3 კომპანიის განვითარება.....	30
2.4 ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ	31
2.5 კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	31
2.6 კომპანიის მიზნები	31
2.7 თანამშრომელთა კეთილდღეობა	31
3. საკანონმდებლო მოთხოვნები და რეგულაციები	31
3.1 ნებართვები და ლიცენზიები	31
3.2 სხვა გადასახადები	32
4. ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	33
4.1 საბალანსო უწყისი.....	33
4.2 მოგება-ზარალის უწყისი	33
4.3 ფინანსური კოეფიციენტები	34
4.4 მნიშვნელოვანი არაფინანსური მაჩვენებლები	34
5. კომპანიის ძირითადი რისკები	34

შპს „ასვლა“

მმართველობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. კომპანიის შესახებ

შპს „ასვლა“ (შემდგომში „კომპანია“), წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2020 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანია რეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 405425277. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის გამზირი, N52ა.


2024 წლის 30 დეკემბერს შპს "ენგური ვენჩერს ლიმიტედმა" შპს "შხარასგან" შეისყიდა კომპანიის 100%-იანი წილი.

კომპანიის დამფუძნებლების შესახებ ინფორმაცია შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
შპს "ენგური ვენჩერს ლიმიტედ"	100 %	-
შპს "შხარა" (405424713)	-	100 %

კომპანიის დირექტორები არიან ცვეტან ბოგდანოვ სტოილოვ და არჩილ გიორგაძე.

ორგანიზაციული სტრუქტურა



2. კომპანიის ძირითადი საქმიანობა

2.1 ბიზნეს საქმიანობა და მიზნები

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს აზარტული თამაშების სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობა, რომელიც მომხმარებელს სთავაზობს ონლაინ კაზინოს თამაშების პლატფორმას ინტერნეტ ვებგვერდ - www.asvla.com-ის მეშვეობით.

კომპანია აგრეთვე ახორციელებს საქმიანობას მიწის ობიექტზე, ქ.თელავში მდებარე სლოტ კლუბის მეშვეობით.

მომხმარებლებისგან ფულადი სახსრების მიღება/გაცემას კომპანია ახორციელებს საბანკო-საფინანსო ინსტიტუტების სერვისების, საგადახდელო არხების, მომსახურე საღაროების და ქ. თელავში მდებარე საღაროს მეშვეობით.

2.1 ბიზნეს საქმიანობა და მიზნები (გაგრძელება)

ჩვენ მკაფიოდ გვაქვს განსაზღვრული კომპანიის მიზნები და დიდი ენთუზიაზმით ვცდილობთ მათ განხორციელებას.

კომპანიის სტრატეგიული მიზანია მომხმარებლისთვის მაღალი ხარისხის მომსახურების შეთავაზება. კომპანია ორიენტირებულია მუდმივად ახალი პროდუქტების შექმნასა და არსებული პროდუქტების განვითარებაზე, რაც განაპირობებს მის მიმზიდველობას ბაზარზე.

კომპანიის მიერ კონკურენტულ გარემოში მიმდინარე და მოსალოდნელ ცვლილებათა ცოდნა და აღნიშნული მოვლენების ანალიზი განსაზღვრავს ბაზარზე მის შემდგომ ქცევას. მნიშვნელოვანია, ასევე მოსალოდნელი/სავარაუდო ცვლილებების წინასწარ განჭვრეტის უნარი, სამომავლო პროცესების ანალიზი და ამ პროცესების საკუთარი მიზნებისათვის გამოყენება, რასაც კომპანია წარმატებით ახორციელებს.

2.2 ბაზრის მიმოხილვა

სათამაშო ბიზნესი საქართველოში საკმაოდ კარგად არის განვითარებული და ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი კონტრიბუტორს წარმოადგენს.

სათამაშო ბიზნესის ეკონომიკური სარგებელია:

- მეტი სამუშაო ადგილი
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან მიღებული შემოსავალი ბევრი ქალაქისა და მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილია
- სათამაშო ბიზნესი ტურიზმის განვითარებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, ტურიზმი კი ქართული ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორია.

დაარსების დღიდან კომპანიის ოპერაციები შემოიფარგლება საქართველოს ბაზრით, რომელიც თავის მხრივ, ხასიათდება დიდი კონკურენციითა და ზოგადად, საქართველოს ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშან-თვისებებით. საქართველოში სათამაშო ბიზნესი კარგად არის განვითარებული რაც ეკონომიკის მნიშვნელოვან სექტორს წარმოადგენს. აღნიშნულ სეგმენტზე გავლენას ახდენს ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, ასევე საკანონმდებლო ცვლილებები მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან. საქართველოში სათამაშო ბიზნესის განვითარება განაპირობებს მაღალ კონკურენციას. 2024 წელში ბაზარზე წარმოდგენილი იყვნენ ძირითადად შემდეგი ოპერატორები:

- კრისტალბეთი;
- აჭარაბეთი;
- კროკობეთი;
- ევროპაბეთი;
- ბეთლაივი;
- ლიდერბეთი.

2.3 კომპანიის განვითარება

სწრაფად ცვალებად კონკურენტულ ბიზნეს გარემოში, კომპანია განუწყვეტლივ ცდილობს შესთავაზოს საკუთარ მომხმარებლებს ინოვაციური პროდუქტები და მიდგომები.

გამომდინარე ელექტრონული კომერციის სწრაფი განვითარებიდან, კომპანიისათვის პრიორიტეტს წარმოადგენს:

- არსებულ პროდუქტებსა და სერვისებზე ხელმისაწვდომობა უწყვეტ რეჟიმში;
- უსაფრთხო ონლაინ გარემო
- ინფორმაციის კონფიდენციალურობა
- მომხმარებლებთან ეფექტური ორმხრივი კომუნიკაციის დამყარება;

2.3 კომპანიის განვითარება (გაგრძელება)

- ფულადი სახსრების მოძრაობის არხების გაფართოება;
- არსებული პროდუქციის გაუმჯობესება და გამრავალფეროვნება;
- კომპანიის გაძლიერება კვალიფიციური თანამშრომლებით.

ხსენებული პრიორიტეტები, თავის მხრივ, გულისხმობს თანდართულ რისკებს, რომლის წინაშეც დგას კომპანიის ხელმძღვანელობა და რომელთა მინიმიზაციაც წარმოადგენს მისსავე ვალდებულებას.

2.4 ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანია ფლობს მხოლოდ ერთ ფილიალს თელავში, სადაც განთავსებულია სლოტ აპარატები. გარდა ამისა, კომპანიის ადმინისტრაციული საქმიანობა და მართვა ხორციელდება თბილისში, ივ. თარხნიშვილის ქუჩა N2-ში.

2.5 კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კომპანიას 2024 და 2023 წლებში არ ჩატარებია რაიმე კვლევები და მსგავსი ღონისძიებები.

2.6 კომპანიის მიზნები

კომპანია მიზნად ისახავს შეინარჩუნოს კლიენტებთან დაკავშირებული მიდგომები და გააგრძელოს განვითარება მუდმივ რეჟიმში. კომპანიის სტრატეგიული მიზანია ბაზრისათვის ინოვაციური პროდუქტების შეთავაზება.

ვინაიდან კომპანიის მიზანია მომხმარებლისთვის მომავალში კიდევ უფრო მაღალი ხარისხის მომსახურების და ინოვაციური პროდუქტების შეთავაზება, კომპანია მუდამ ახალი სტრატეგიული პროექტების დანერგვის და განვითარების პროცესში იმყოფება.

2.7 თანამშრომელთა კეთილდღეობა

კომპანია მუდმივად ცდილობს, შეუქმნას მის თანამშრომლებს უსაფრთხო და კომფორტული სამუშაო გარემო და ამავდროულად, უზრუნველყოფს მათ სხვადასხვა ტიპის კორპორატიული სარგებლებით.

კომპანიის ზრდის პროპორციულად ხდება დასაქმებულთა რაოდენობის ზრდაც. კომპანიაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებული იყო 71 თანამშრომელი (2023: 68 თანამშრომელი). კომპანია თანაბარ პოზიციაში განიხილავს სხვა და სხვა ასაკის, გენდერის და ეროვნების ადამიანთა დასაქმებას. იგი თანაბრად აძლევს დასაქმებულებს განვითარებისა და წინსვლის შესაძლებლობას. კომპანია ზრუნავს და ფინანსურად უზრუნველყოფს თანამშრომლების პროფესიულ განვითარებას. ახალი ვაკანსიის არსებობისას პირველ რიგში ხდება შიდა კადრების შესაძლებლობების განხილვა და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება ოფიციალური წყაროების საშუალებით ღიად ახდენს კადრების შერჩევას.

3. საკანონმდებლო მოთხოვნები და რეგულაციები

3.1 ნებართვები და ლიცენზიები

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, აზარტული თამაშობების მოწყობისათვის საჭიროა შესაბამისი ნებართვების (ლიცენზიების) არსებობა, თუმცა უშუალოდ სისტემურ- ელექტრონული ფორმით თამაშობ(ებ)ის ორგანიზებისათვის ცალკეული ნებართვა არ გაიცემა. ამ მხრივ, საკანონმდებლო მოთხოვნას წარმოადგენს რეალური ობიექტის არსებობა და შემოსავლების სამსახურის მიერ კვარტალური ელექტრონული ველის გამოყოფა.

შპს „ასელას“ მოპოვებული აქვს ყველა საჭირო ნებართვა და ლიცენზია, და ახორციელებს ოპერაციებს მოქმედი საკანონმდებლო მოთხოვნების ფარგლებში.

შპს „ასელას“ ნებართვებია:

1. სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების ორგანიზება, რომლის ნებართვა გაიცემა სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის საფუძველზე - 100,000 ლარი წლიურად
2. სათამაშო აპარატების სალონის მოწყობა - 100,000 ლარი წლიურად
3. სათამაშო ბიზნესის კვარტალური მოსაკრებელი - 250,000 ლარი
4. სათამაშო ბიზნესის კვარტალური მოსაკრებელი თითოეულ აპარატზე - 2,000 ლარი.

3.2 სხვა გადასახადები

კომპანიას, ოპერაციებიდან გამომდინარე, ეკისრება შემდეგი ტიპის გადასახადები:

მოგების გადასახადის სპეციალური რეჟიმები

2022 წლის 1 იანვრიდან დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობის შემთხვევაში, საქმიანობის ამ ნაწილში, მოთამაშეებისაგან მიღებულ ფსონებსა და მოთამაშეზე გაცემულ მოგებას შორის სხვაობა. კომპანიის მიერ აზარტული თამაშობის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობიდან მიღებული დასაბეგრი მოგება იბეგრება 10 პროცენტით. 2024 წლის იანვრიდან 15 პროცენტით, ხოლო 2025 წლის 1ლი იანვრიდან 20 პროცენტით.

ასევე 2024 წლის 1-ლი დეკემბრიდან შეიცვალა საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირების თამაშებიდან მიღებულ ფსონებსა და გაცემულ ფსონებს შორის სხვაობის დაბეგვრის განაკვეთი და შემცირდა 5 პროცენტამდე.

მოგების გადასახადი (15%)

მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს განაწილებული მოგება, თუ აღნიშნული მოგება მიღებულია სათამაშო ბიზნესთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებიდან (გარდა ზემოაღნიშნული შემოსავლებისა), ასევე დოკუმენტურად დაუდასტურებელი ხარჯები.

კომპანიას დღგ-ს მიზნებისთვის (დამატებული ღირებულების გადასახადი) აქვს შემდეგი დასაბეგრი ოპერაციები:

კომპანია არარეზიდენტებისგან იღებს მომსახურებას, რომელთა ნაწილსაც ბეგრავს 18%-იანი უკუდაბეგვრის დღგ-ით;

კომპანიას საშემოსავლო გადასახადის (20%-იანი და 5%-იანი განაკვეთები) მიზნებისთვის აქვს შემდეგი დასაბეგრი ოპერაციები:

კომპანიისათვის დაქირავებულ თანამშრომელთათვის გადახდილი ხელფასები და სხვა სარგებლები;

ფიზიკური პირებისათვის, მიღებული მომსახურებ(ებ)ის ფარგლებში გადახდილი ანაზღაურებები და სარგებელი;

მომხმარებლებზე გაცემული პრიზები და სარგებლები.

2022 წლის 01 იანვრიდან სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ აზარტულ და მომგებიან (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილი წამახალისებელი გათამაშებისა) თამაშობაში მონაწილე პირის საშემოსავლო გადასახადით დაბეგვრის ობიექტია, მის მიერ სისტემურ ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხა. შესაბამისად კომპანია მოთამაშის მიერ სისტემურ ელექტრონული სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხიდან აკავებს 2 პროცენტს და იხდის ბიუჯეტში. 2024 წლის 1ლი იანვრიდან გატანილი თანხაზე გადასახადის განაკვეთი გაიზარდა 2 პროცენტიდან 5 პროცენტამდე.

ამასთან, 2024 წლის 1-ლი დეკემბრიდან შეიცვალა საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირების სათამაშო ანგარიშიდან გატანილი თანხის დაბეგვრის განაკვეთი და შემცირდა 0 პროცენტამდე.

საპენსიო შენატანი:

2019 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ. საპენსიო შენატანის გადახდა ევალება ყველა დასაქმებულს და მის სასარგებლოდ ყველა დამსაქმებელს და სახელმწიფოს. თავად დასაქმებული ახორციელებს შენატანს მისი დაუბეგრავი შემოსავლის 2%-ის ოდენობით. ასევე თითოეულს: დამსაქმებელს და სახელმწიფოს, დასაქმებულის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე შეაქვთ დასაქმებულის დაუბეგრავი შემოსავლის 2%.

არარეზიდენტის საშემოსავლო გადასახადი

კომპანიის კონტრაგენტების წარმომავლობის გათვალისწინებით, შესაბამისი ოპერაციები იბეგრება 5%, 10% ან 15%-იანი განაკვეთით.

დივიდენდის საშემოსავლო გადასახადი

დასაბეგრი განაკვეთი: 5% ან 0% (ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილების შესახებ არსებული ხელშეკრულების ფარგლებში);

2024 და 2023 წელს კომპანიას არ გამოუცხადებია დივიდენდი.

3.2 სხვა გადასახადები (გაგრძელება)**ქონების გადასახადი**

დაბეგვრის ობიექტს წარმოადგენს კომპანიის საკუთრებაში და მის ბალანსზე არსებული ძირითადი საშუალებები, დაუმონტაჟებელი მოწყობილობები და ა.შ. აღნიშნული გადასახადი, საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, იანგარიშება როგორც საშუალო წლიური საბალანსო ღირებულების არა უმეტეს 1%.

ზემოთ მოცემული ყოველი ტიპის გადასახადის დარიცხვა /დაკავება/ ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდა ხორციელდება მოქმედი საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად.

4. ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის 2024 წლის სრული ფინანსური მონაცემები - მათ შორის ფინანსური უწყისები, კონკრეტული პუნქტების შესაბამისი თანხობრივი მონაცემები და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები დეტალურად მოცემულია 2024 წლის აუდიტირებულ ანგარიშგებაში.

4.1 საბალანსო უწყისი

თანხები დამრგვალებულია ათას ლარში.

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
გრძელვადიანი აქტივები	2,960	1,980
მოკლევადიანი აქტივები	3,854	2,013
აკუმულირებული ზარალი	(3,175)	(4,886)
გრძელვადიანი ვალდებულებები	-	36
მოკლევადიანი ვალდებულებები	2,944	1,798

4.1.1. ვალდებულებების შესახებ

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები: კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად, აღნიშნული ვალდებულებების დაფარვა ხდება ხელშეკრულებით პირობების შესაბამისად და განსაზღვრულ ვადებში.

4.2 მოგება-ზარალის უწყისი

თანხები დამრგვალებულია ათას ლარში.

	2024	2023
ამონაგები	34,280	20,528
საოპერაციო ხარჯები (პერსონალის სარგებლის გარდა)	(28,057)	(17,333)
პერსონალის სარგებელი	(4,553)	(3,141)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები	1,670	54
წლის მოგება და მთლიანი სრული შემოსავალი	1,711	56

კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს ძირითადი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები, რომლებიც, კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ნეტო რიცხვად (NGR – Net gaming revenue) (თამაშებიდან მიღებული სრულ შემოსავალს (GGR – Gross gaming revenue) გამოკლებული კლიენტისთვის შეთავაზებული წამახალისებელი აქციების („ფრისპინი“, „ფრიბეთი“, და ა.შ.), ჯეკპოტებისა და ბონუსების ხარჯი)

4.3 ფინანსური კოეფიციენტები

	2024	2023
ლიკვიდობა*	1.3	1.1
ROE***	0.24	0.01
ROA****	0.25	0.01

*ლიკვიდობის კოეფიციენტი გამოითვლება სრული მოკლევადიანი აქტივების შეფარდებით სრულ მოკლევადიან ვალდებულებებთან;

***უკუგება კაპიტალზე (ROE) გამოითვლება წმინდა მოგების შეფარდებით კომპანიის საწესდებო კაპიტალთან;

****უკუგება აქტივზე გამოითვლება (ROA) წმინდა მოგების შეფარდებით კომპანიის სრულ აქტივებთან;

კომპანიის ფინანსური მაჩვენებლები 2024 წელს გასულ წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა. ლიკვიდობის ზრდა (1.1-დან 1.3-მდე) მიუთითებს გაუმჯობესებულ გადახდისუნარიანობაზე, ხოლო ROE და ROA-ის მკვეთრი ზრდა ასახავს მომგებიანობისა და აქტივების ეფექტიანობის ზრდას. ეს ცვლილებები მიანიშნებს უკეთეს ოპერაციულ მართვასა და კაპიტალის გამოყენების ეფექტიანობის გაუმჯობესებაზე.

4.4 მნიშვნელოვანი არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანია ახორციელებს თავის საქმიანობას გამჭვირვალედ, ბიზნეს ეთიკისა და პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით.

თანამშრომელთა კეთილდღეობა

კომპანია საქმიანობას ახორციელებს ბიზნეს ეთიკისა და პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით. კომპანია ცდილობს ისეთი პროცედურების დანერგვას, რომლებიც ზრდის სწორი თანამშრომლის შერჩევის შესაძლებლობას, რომელიც გათვლილია გრძელვადიან ურთიერთობაზე. კომპანია მუდმივად ცდილობს, შეუქმნას მის თანამშრომლებს უსაფრთხო და კომფორტული სამუშაო გარემო.

სავაჭრო ურთიერთობები

კომპანიისათვის არა მონეტარული მნიშვნელობის მქონე საკვანძო საკითხს წარმოადგენს სავაჭრო ურთიერთობები. კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივად ცდილობს, პროფესიონალური სავაჭრო ურთიერთობები დაამყაროს მხოლოდ ცნობად და ბაზარზე დადებითი რეპუტაციის მქონე ორგანიზაციებთან რაც ხელს უწყობს მიღებული საქონლისა თუ მომსახურების უნაკლო ფორმით მიღებას, ეს უკანასკნელი კი უზრუნველყოფს მომხმარებელთა კმაყოფილებასა და კომპანიის წინაშე არსებული სხვადასხვა სახის რისკების მინიმიზაციას.

5. კომპანიის ძირითადი რისკები

კომპანიის სპეციფიკისა და სათანადო ბიზნესის ინდუსტრიის მახასიათებლებიდან გამომდინარე, შპს „ასელას“ ხელმძღვანელობა, რომელსაც აქვს რისკების მართვის პროცედურების იმპლემენტაციისა და მისი შემდგომი ზედამხედველობის პასუხისმგებლობა, აცნობიერებს კომპანიის წინაშე არსებულ რელევანტურ რისკებს, და ბაზარზე მიმდინარე ცვლილებებზე მუდმივი დაკვირვებითა და მის ხელთ არსებული სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით, უზრუნველყოფს იდენტიფიცირებული რისკების მინიმიზაციას. აღნიშნულ პროცესში მნიშვნელოვანი როლი უკავიათ კომპანიის კვალიფიციურ თანამშრომლებს, რომლებიც აცნობიერებენ დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს და რომელთა გადამზადებაც, მოთხოვნილებებისა და საჭიროებების გათვალისწინებით, მიმდინარეობს უწყვეტ რეჟიმში.

კომპანიის წინაშე არსებული საკვანძო რისკები შეიძლება დაიყოს შემდეგ ძირითად მიმართულებებად:

საკრედიტო რისკი

გამომდინარე კომპანიის სპეციფიკისა, რაც გულისხმობს დიდი რაოდენობით ფულადი აქტივების არსებობას, არსებობს რისკი იმისა, რომ მეორე მხარე სათანადოდ ვერ შეასრულებს ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ მოთხოვნილებებს.

5. კომპანიის ძირითადი რისკები (გაგრძელება)

აღნიშნული რისკის მინიმიზაციისათვის, კომპანიის ხელმძღვანელობა ახდენს ფულადი რესურსების დივერსიფიცირებას მაღალი რეპუტაციისა და რეიტინგის მქონე კომერციულ საბანკო დაწესებულებებში და აკვირდება ბაზარზე მიმდინარე მოვლენებს, რაც, საჭიროების შემთხვევაში, აძლევს სწრაფი რეაგირების საშუალებას.

ლიკვიდურობის რისკი

კომპანიის ბიზნეს პროცესებიდან გამომდინარე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ კომპანიამ ჯეროვნად შეასრულოს მომხმარებლებისა და სერვის პროვაიდერების წინაშე ნაკისრი ვალდებულებები. აღნიშნული რისკის მინიმიზაციისათვის კომპანიის ხელმძღვანელობა იყენებს სხვადასხვა ბერკეტებს, მათ შორის წარსული შედეგების ანალიზს, ფულადი სახსრების დივერსიფიკაციას და მონიტორინგს, ლიმიტების დაწესებას და ა.შ. თითოეულ მოცემული პუნქტზე დაკვირვება და ანალიზი მიმდინარეობს მუდმივ რეჟიმში, რაც იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების დროულად შეტანის შესაძლებლობას.

სავალუტო რისკი

კომპანია სავალუტო რისკის წინაშე დგას იმ პოზიციებზე, რომელთა საოპერაციო ვალუტაც განსხვავდება კომპანიის ფუნქციონალური ვალუტისგან (ქართული ლარი). ვალუტებს, რომლებშიც დენომინირებულია კომპანიის აქტივები და ვალდებულებები, წარმოადგენს ძირითადად აშშ დოლარი (USD).

გამომდინარე იქიდან, შპს „ასელა“ თანამშრომლობს ბევრ უცხოელ კონტრაქტთან, ანარიშწორებაც ხდება სხვადასხვა უცხოურ ვალუტაში.

იმის გათვალისწინებით, რომ სავალუტო კურსების ცვალებადობა წარმოადგენს ძირითად მაკროეკონომიკურ ბერკეტს, რომელზე გავლენის მოხდენაც კომპანიის შესაძლებლობებში არ შედის, შეუძლებელია რისკის ნულოვან ნიშნულამდე შემცირება. თუმცა ხელმძღვანელობა, უცხოურ ვალუტაზე ხელმისაწვდომობით, მათი სათანადო გადანაწილებითა და ხელშეკრულებებით გათვალისწინებული პირობების პერიოდული გადახედვით და გაუმჯობესებით, ახერხებს ამ მხრივ გააჩნდეს მყარი პოზიცია.

IT უსაფრთხოებისა და რეპუტაციის რისკი

ონლაინ სათამაშო ბიზნესი, როგორც წესი, ხასიათდება მომხმარებელთა ლოიალობის მაღალი სენსიტიურობით. შესაბამისად, განსაკუთრებული როლი ენიჭება IT მიმართულებით უსაფრთხოების ზომების უწყვეტ გაუმჯობესებას.

კომპანიის ხელმძღვანელობა, მუდმივი ზედამხედველობით, კვალიფიციური თანამშრომლებითა და საჭირო აღჭურვილობების საშუალებით, იღებს ყველა საჭირო ზომას, რომ ვებ-გვერდზე ვიზიტი, თითოეული მომხმარებლისათვის, იყოს მაქსიმალურად უსაფრთხო და ხასიათდებოდეს შეფერხებების მინიმალური რაოდენობით.

კომპანიის რისკების შემცირების სტრატეგიები მოიცავს:

- ლეპტოპებისა და დესკტოპების დაცვას
- მონაცემების უსაფრთხოდ შენახვას
- ქსელების დაცვას
- სერვერების დაცვა
- შესაფერისი და დროული IT მხარდაჭერის ხელმისაწვდომობას

ასევე, უმნიშვნელოვანესი პროცესი რაც სათამაშო ბიზნესის ინდუსტრიაში შეიძლება განვიხილოთ არის კომპანიის სახელის (ბრენდის) დაცვა და უფრო მყარად დამკვიდრება, ადგილობრივ ბაზარზე. ასევე ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნება ზრდის მომხმარებლების მხრიდან ნდობას (ფინანსური არასტაბილურობა განიზიდავს მომხმარებელს).

5. კომპანიის ძირითადი რისკები (გაგრძელება)

საკანონმდებლო რისკი

საქართველოს ბაზარზე სათამაშო ბიზნესის პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად. საგადასახადო კანონები განიცდიან ხშირ ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოადგენს.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2025 წლის 19 ნოემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი:

ცვეტან ბოგდანოვ სტოილოვი

.....

ფინანსური დეპარტამენტის უფროსი

სალომე ყიფიანი

.....